# დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი


პირველს სეკტემბერს ამ წლისას გაიხსნება სასოფლო მეურნეობის სკოლა სოფელ წინამძღვრიანთ-კარში. ყმაწვილები მიიღებიან ამ სკოლაში 10—12 წლისა, ყველა წოდებისა, უეგზამენოთ და უფასოთ. ვისაც სურდეთ მისცენ თავისი შვილები სკოლაში, უნდა გამოაცხადონ სურვილი ჩემთან, ქ. თბილისში, ყოველ დღე, გარდა შაბათისა და კვირისა. შაბათს და კვირას კი მივიღებ თხოვნას სოფელ წინამძღვრიანთ-კარში. მე ვდგევარ მლისაბედის ქუჩაში, ქვრივი რჩეულოვის სახლში, № 78.

პოპეჩიტელი სკოლისა
(3—2) ი. წინამძღვრიშვილი.

## ახალი ამბები.

ამისთანა დროს, როდესაც მთელი ევროპა ხოლერის შიშით არის მოცული, როდესაც ჩვენი ქალაქის რჩევა სიცხესაც კი არ მოერიდა და შეიკრიბა სანიტარულის კომისიის დასაარსებლად და სხვა-და-სხვა ზომების მისაღებად ქალაქის გასუფთავებისათვის, ყოველს ხმას საზოგადოებისას ამ საქმის შესახებ ყურადღება უნდა ჰქონდეს მიქცეული. ჩვენ ვბეჭდავთ ქვემოთ წერილს ერთის პირისას, რომელსაც, იმედი გვაქვს, პოლიცია ყურადღებას მიაქცევს:

«ბ. რედაქტორო! მე ვცხოვრებ მთაწმიდაში, ხევის (ოვრაჟსკის) ქუჩაზე, სადაც ქუჩის ბიჭ-ბუჭებს ნესვი, საზამთრო სიმინდი და სხვა ხილეულობა, დაუწყვიათ და ჰყიდიან. ამათ სხვა-და-სხვა უსაქმურად მაწანწალა ბიჭებიც ემატებიან და გროვდება ერთი კარგი ხროვა. დილით საღამომდინ ისეთი ხმაურობა, ისეთი ჟრიამული დგას ამ ქუჩაში, რომ სწორედ მოსვენება აღარ არის. ისეთი უშვერი ლაპარაკი, ისეთი ქალაქური ლანძღვა-გინება გესმით, რომ თითები უნდა დაიცვათ ყურებში. ამის გარდა ხილის ქერქებს და სხვა უვარგის ნაწილებს იქვე ჰყრიან, და ისედაც უსუფთაო ქუჩას, უფრო ანაგვიანებენ, მაშინ როდესაც ყოველ კეთილ-განწყობილს ქალაქში ეხლა, ამ ხოლეროზის დროს, დეზინფექციას უშვრებიან ყოველს ქუჩას. არ გეგონოთ კი, რომ ეს ისეთი მიყრუებული ქუჩა იყოს, რომ აქ პოლიციელები არ ხვდებოდენ. არა; აქ პოლიციელები ყოველთვის არიან, მაგრამ არამ თუ არ უშლიან ზემოდ მოყვანილს საქციელს, არამედ ისინიც იმ ხროვაში ერევიან და ყოველს იმის მოქმედებაში თითონაც მონაწილეობას იღებენ და უფრო აქეზებენ ისეც თავწასულს ბიჭებს. ან კი რად გამოიდებენ ეს ვაჟბატონები თავსა! იმათ რა ენაღვლებათ, თუ სხვები ამ ხროვისა და ქუჩის უსუფთაობისაგან შეწუხებულები არიან? ყოველთვის, როდესაც უნდათ, საზამთროს მუქთად შეექცევიან და რომ დაუშალონ, ხომ ხილის მუქთა ჭამას მოაკლდებიან?

«მივაქცევთ ამ გარემოებას იმათ ყურადღებას, ვისიც ჯერ არის».

ქულაშიდამ გვწერენ: ჩვენდა სასიამოვნოდ ქულაში გულადად მიდის პროგრესის გზაზე. ბევრს სხვა ამისთანა სოფლებში ერთი სკოლაც არ არის და აქ კი ორია: ერთი-ერთ-კლასიანი, მეორე ორ-კლასიანი. ამას გარდა ჩვენს სოფელში შესდგა სცენის მოყვარეთა წრე, რომელიც ყოველ, კეთილ საქმეს ნივთიერად ხელს უწყობს. იყო რამდენიმე წარმოდგენა, რომელზედაც დიდ-ძალი ხალხი დაესწრო, 31 ივლისს, ბ. მოხევეს დახმარებით, რომელიც ბათუმიდამ ჩამოვიდა უფასო გამართა სახალხო, წარმოდგენა გლეხებისათვის. დაბალმა ხალხმა დიდის მადლობით და აღტაცებით მიიღო ეს წარმოდგენა და მოთავეებს სთხოვა, ხელ-ახლად გამართონ.

ქუთაისის ხელოსნებს მთავრობისათვის უთხოვიათ ნება-რთვა სახელოსნო გამგეობის (უპრავის) გამართვისა და კიდეც მოსვლიათ ეს ნება-რთვა.

30-ს ივლისს ქუთაისში გაჩენია ცეცხლი, ღამით ქიშკარიანის სახლს და მთლად გადაუწვავს. ხალხში ცეცხლის გაჩენის მიზეზს სხვა-და-სხვას ამბობენ.

გაზეთს «კავკაზს» ატყობინებენ თელავის მაზრიდამ, რომ იქ საქონლის ჭირი სოფლებში მუსრს ავლებს იქაურობასა.

ქალაქში ეს რამდენიმე დღეა ძალიან აგრილდა და წვიმებიც დაიწყო. ქუთაისშიაც, თურმე ერთის დღისა და ღამის განუწყვეტელს წვიმას სიცხე გაუნელებია. როგორც გვითხრეს, ზოგის ახლო-მახლო სოფლებში საშინელი სეტყვა ყოფილა და ვენახები და ხილი წაუხდენია.

## «დროების» კორესპონდენცია.

ფოთი, 29 ივლისს. შემდეგ ბათუმის რკინის გზის გახსნისა, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას ფოთის მომავალ ბედ-იღბალზე. ზოგი გვარწმუნებს, რაკი ბათუმის რკინის გზა გაიხსნა და ნავოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების სააგენტომ გამოაცხადა რომ ფოთში მხოლოდ კვირაში ერთხელ ივლის ჩვენის საზოგადოების გემიო, ამით ფოთი თავის მნიშვნელობას დაჰკარგავს და აღარაფრად ეღირებაო. როგორც ეტყობა, ამის მთქმელებს სრულებით არა სცოდნიათ, რაზედ არის დამოკიდებული ფოთის მნიშვნელობა. მგზავრების მისვლა-მოსვლა ურიგო არ არის ქალაქისათვის, მაგრამ ის სარგებლობა არ მოაქვს, რაც ზოგიერთებს ჰგონიათ. ფოთის პასაჟირებით არ უსულდგმულია და არც იმათი შემყურებელია. ხუთი კომისიონერი თავის მუშით და მენავეებით, სამი სასტუმროს მქონე და ხუთი ფაეტონი სადაც უნდა იყვნენ—ფოთის ამითი არა დაუშავდება-რა. ფოთის ბედნიერება და უბედურება არის მთელი სა-

---

## «დროების» ფელეტონი, 5 აგვისტო.

### ბათუმის სურათები.

### IV

დარბაზი. წინ რიყე და დღის სიცხისაგან გახურებული ქვიშა, რომელსაც ზღვის ნიავი დაჰქრის და წყნარ-წყნარად აგრილებს. იქავ ახლო ზღვა დაყუჩებული, დაწმენდილი, სარკესავით მოკრიალე. შორს მოჩანს ოშხივრით მომქმედი გემი, რომლის ბუხრიდგანაც ნაპერწკლები ამოდის და რომელიც გძლად გაჭიმულა, როგორც კუდიანი ვარსკვლავი ცის ტატნობაზედ, უფრო შორს იალქნიანი გემი, თითქოს ფრთები გაუშლია და გაფრენას აპირებს. მთვარე წყნარად ეალერსება წყლის ზედა პირს, რომელზედაც იხატება და ათას გვარად ბჭყვრიალებს ციდგან მონაწყვეტი სხივები. ყველგან ჰარმონია, ყველაფერი აშვენებს ერთმანერთს, მხოლოდ თავის გარეგნობით განირჩევა რიყე და ქვიშა, რომელსაც ჯერ კაცის ხელი არ მიჰკარებია და ბუნებასაც გაუძვრია მისთვის კაცის თვალის დამატყვევებელი მწვანე შესამოსელი.

X

პალატა გაჩაღებულია. ფანჯრებიდგან მოჩანან სხვა-და-სხვა გვარი პირისახეები. საკვირველი ეს არის, რომ მათ შორის ქალები არ მოჩანან, ქალები, რომელთ ტიტინიც გულს ისე ახარებს და ამხიარულებს.

შუაში უდგათ სტოლი, რომელზედაც რაღაცა სხვა-და-სხვა ფერებით დახაზული ქაღალდი გადუფენიათ. ყველა იმას ეხვევა, სინჯავს, კითხულობს და თითით რაღაზედაც აჩვენებს.

წამდაუწუმ მოისმის: «აქეთ რკინის გზაა, აქეთ ჩრდილოეთ საზოგადოების სააგენტოა, აქეთ ისევ რკინის გზის და ტამოჟნის მამულებია, ზედგანაც გზა არის.»

— შუაში მარტო მარჯან-აღას მამულია მომწყვდეული, — დაუმატებს ერთი.

— რას იტყვით, მარჯან-აღა? ჰკითხავენ პატრონს.

— მე რა ვთქვა, ბატონო?.. კომისია თქვენა ხართ და დამფასებლები... თქვენ უნდა ბძანოთ. თუ მე მკითხავთ, ჩემს მამულს არავის ვაძლევ, მე თითონ მინდა... მაგრამ მე ვინა მკითხავს—სიტყვა თქვენია, ბატონო! იტყვის მარჯან-აღა და მეორე ოთახში გაეცლება.

ყველა უყურებს მიმავალს, ყველა ჰგრძნობს, რომ რაღაცა მძიმე ამბავია, რაღაცა ტვირთი აწუხებს, მაგრამ ვერავის გაუგია თუ, რა არის?..

სინიდისი ხომ არ არის, რომელსაც ბუნდად გაურბენია მათ გულში?.. მაგრამ რაც უნდა იყოს—სამსახურის ვალი ყველაზედ წინ არის!

X

შემოდის ვიღაცა ტანად დაბალი ჩინოვნიკი, იმის ნაბიჯი გამოზომილი არ არის. თითონ პატარაა, მაგრამ გიგანტურს ნაბიჯსა სდგამს, თითქმის ხტება, რომ ჩქარა ხან აქ და ხან იქ მიასწროს მისთვის საბედნიეროდ გამოშვერილს ხელს. ყველას მდაბლად თავს უკრავს, ყველას უცინის, ყველას წინ იხრება, როგორც ნორჩი შტო. გამხმარი, სისხლ-მოკლებული, ძარღვებ-გაშეშებული წარმოუთქმელის სიჩქარით იღრიკება და არა ტყდება, როგორც მის ხანს შეჰფეროდა. მაგრამ ორმოც-და-თორმეტის წლის ვარჯიში კაცს რას არ შეაჩვევს?

— ა-ა, ივან ივანიჩ! ა-ა, ჩვენო კეთილო ივან ივანიჩ! მიესალმებიან აქეთ-იქიდგან. ივან ივანიჩიცა ცმუკავს, ხან ერთისკენ გაექანება, ხან მეორესკენ, ხან მესამესკენ.

— შეყრილხართ? იკითხავს ივან ივანიჩი.

— დიახ,—მიიღებს პასუხად.

— რას აპირებთ? კითხულობს ჩინოვნიკი.

— პირველი დაფასება უკან დაგვიბრუნეს—ძვირიაო... ახლა ხელ-ახლად შესდგა კომისია, ხელ-ახლად უნდა დავაფასოთ... თქვენი მამულიც ხომ შიგ მოჰყვა? ჰკითხავენ ივან ივანიჩს.

— დიახ,—ოხვრით წარმოსთქვამს ივან ივანიჩი და დაუმატებს:—ჩემი მამულები, ბატონებო, გთხოვთ, რაც შეიძლება, იაფად დააფასოთ?

— რათა, რას ბძანებთ? გაკვირვებით შეხედვენ ჩინოვნიკს, რომელიც მწუხარებით გაგიჟებული ჰგონიათ.

— დიახ, გთხოვთ!.. მე ისე აღგზნებული ვარ სამშობლოს სიყვარულისა და ქვეშევრდომობის გრძნობით, რომ ისეც დავუთმობდი ჩემს მამულს.

— ახ, ივან ივანიჩ! ყოჩაღ. ივან ივანიჩ! მოისმა მრავალის მხრიდგან და კიდევ გამოეშვირა ხელები.

მეგრელო, მდინარე რიონი და ნახევარ გურია. თუ ქსენი მოისპობიან, ფოთიც მაშინ ჩაჰბარდება პატრონს. რასაც კი ეზიდებიან სამზღვარ-გარეთ, თუ რუსეთში, მაგალითად: სიმინდს, სელსა, ხილეულს, კაკალს, კაკლის კუნძს, ბზის ხეს, ბოჩკის ფიცარს, შენობის მასალას და სხვას, ყოველივე ეს გამოდის სამეგრელოდან და გურიიდან და ზამთარ-ზაფხულ ნავებით, თუ ცეცხლის გემებით დიდის პარტიობით მიდის უცხო ქვეყნებში. ამ საქონლისა ასზედ ოთხმოცდა ათი ნაწილი რიონით და პალიასტომით მოდის 90—100. ვერსის მანძილიდან. ამაზედ შეიძლება მიპასუხონ—ეგ საქონელი ახლა ყველა ბათუმის რკინის გზით წავა სამტრედიიდანაო. იქნება, მაგრამ სოფლებიდამ სამტრედიამდის სხვა-და-სხვა ადგილიდან მოტანას უნდა უკანასკნელი ფუთზე ხუთი კაპეიკი; სამტრედიიდანაც ბათუმამდის მეხუთე რიგის საქონელზედ ექვსი კაპეკი უნდა. ბათუმშიაც, სულ უკანასკნელი, მუშისა, დროგის ქირისა და ქალაქის სახარჯებლოდ $1\frac{1}{2}$ კაპეიკი მაინც იქნება. გარდა ამისა ბათუმში სად არის ადგილი, რომ სიმინდი გასწმინდოს კაცმა და მაღაზიაში შეინახოს ორ-სამ კვირობით და თუ სადმე შორს აშენდა მაღაზიები, მაშინ მარტო დროგს უნდა ფუთში ხუთი კაპეიკი. ფოთში კი ამოდენა ხარჯები არ არის საჭირო; სოფლიდან ფოთში საქონლის საწყობ ადგილებამდის უნდა ფუთზე სამი კაპეიკი და რიონის ორსავ ნაპირებზედ საწყობები გაშენებული და ქირა იაფია.

სამეგრელოს და გურიის ხსენებული ყოველივე ნაწარმოები არის ფოთის ვაჭრების ხელში და ამათი ვაჭრობის საგანი ის არის, რომ ვაჭრული კავშირი ჰქონდეთ სამზღვარ-გარეთელ, თუ რუსეთელ ვაჭრებთან. აი მაგალითი: ორი თვე სრულდება, რაც ბათუმის რკინის გზა გაიხსნა, ხოლო ტვირთი ფოთში მომეტებული მოდის, ვიდრე ბათუმში. ამ ხანში ბროცკის მიუღია როდაკანაკის ცეცხლის გემებით 2,500 ბოჩკა, ანუ 100,000 ფუთამდე შაქარი, განა ბროცკის არ შეუძლიან, რომ ბათუმზე მოიტანოს, მაგრამ ფოთზე ექვს კაპეიკით ნაკლებ უჯდება, ესე იგი ასიათას ფუთში იგებს 6,000 მანეთს.

მართალია, ნავოსნობის საზოგადოებამ ფოთს ცუდის თვალით დაუწყო ყურება, მაგრამ მისმა გემებმა ფოთში სულაც რომ არ იარონ, არაფერია ფოთისთვის, რადგან ფოთში სხვა მრავალი გემები მოდიან სამზღვარ-გარეთიდან, თუ რუსეთიდან ზემოხსენებულ ტვირთის მისაღებად. გარდა ამისა ჩვენ, ფოთელებს, არ დაგვკარგვია იმედი, რომ ნავთსადგური უმაღლეს მთავრობის გარდაწყვეტილებით ერთ წელიწადზე მზად იქნება. ეხლაც ამ ნავთ-სადგურებში თითქმის ყოველ დღე იცლება და იტვირთება როდაკანაკის ნოვოსელსკის და პალაშკოვსკის გემები; ნავოსნობის საზოგადოებას კი არ მოსწონს ფოთი, თუმცა მაშინ კი მოსწონდა, როდესაც მერკურის კამპანიას სულსართმევდა და მათი აგენტები კომისიონერებთან სასლაში მირბოდენ ტვირთისათვის და კომისიას ფასსაც კი ჰპირდებოდენ. ეხლა რაღად მოეწონებათ, კავკაზიის ვაჭრებს სული ამოართვეს, ხან 40 კაპეიკს, ხან 60 ართმევდენ ქირას ფუთში ოდესიდან ფოთამდის და ეხლა როდაკანაკის წყალობით ქირა გახდა თექვსმეტი კაპეიკი.

უმაღლესის მთავრობის გარდაწყვეტილებით ეგრეთვე ირგვლივ უკეთებენ ფოთს ზატარეებს, რისთვისაც ზღვის ნაპირის ალაგები უკვე დაიზომა და ღირებული ფასიც დაგვინიშნა კომისიის მისედულობით. ნავთ-სადგურისა და მატარებლებისათვის ოთხი მილიონი მანეთი არის დანიშნული.

ეს წერილი დაწერილი მქონდა და ვაპირობდი ფოსტაში მიცემას, როდესაც რაღაც უცხო ხალხი დავინახე ქუჩებში და მიზეზი ვიკითხე. თურმე, ბათუმის რკინის გზა გასწყრომია საბათუმო მგზავრებს და ნატანებს იქით აღარ წაუყვანია, თუმცა ერთი ღამე უთევიათ, უღოცნიათ, მაინც ლოცვა არ შეუწყნარებია და ფოთში მობრძანდენ, და დღეს შუა დღისას ვისტუმრებთ ბათუმისკენ. როგორც სჩანს ბათუმის რკინის გზას როგორღაც ავად-მყოფობა სჭირებია და ნოტიო ჭაერი მალიანა სწყენს: წვიმა მოვა თუ არა, ჟიუტობს და პასაჟირები აღარ მიჰყავს ბათუმს. ვნახამთ, როდის დაიშლის ამ ბავშვურს ჟიუტობას.

ფოთელი.

---

## ქართველთ - კათოლიკეთ საგულისხმოდ.

დღეს საქართველოში ბევრი კათოლიკობა არის. ქალაქები თბილისი, ქუთაისი, გორი და სხვანი სავსენი არიან დასავლეთის ეკლესიის აღმსარებლებით. არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც, სამესხეთოში (ახალციხის მაზრაში) მკვიდრად ფეხი გადგმული აქვს კათოლიკობას. ახალციხის მახლობლად ათი სოფელი სულ ქართველობაა. რომ კარგად დავაკვირდეთ საქართველოში მცხოვრებ კათოლიკობას, მათს ზნეს, ჩვეულებას, ენას, და გვაროვნობას, ცხადად დავინახამთ, რომ ისინი ქართველები არიან და მათ შორის ცოტა ურევია სომეხთ ჩამომავლობისა. სომეხთ-კათოლიკეთა დედა-ენაც ქართულია და იშვიათად ნახამთ ვისმე მათგანს, რომ სომხური ენა იცოდეს. დაბადებულნი საქართველოს ნიადაგზე, აღზრდილნი ქართულს ზნეზედ და ჩვეულებაზედ, [illegible] სამშობლოს და [illegible] სარწმუნოებას, საქართველოს კათოლიკე-სომხები ქართველების რიცხვში უნდა შეირიცხონ.

როგორც ისტორიიდამ ვიცით, მეცამეტე საუკუნიდამ საქართველო დაახლოვებულა პოლიტიკურ მოსაზრების გამო რომის ტახტს. რომის ტახტს ეს დაახლოვება, რასაკვირველია, აღუძრამდა სურვილს ქართველების გაკათოლიკებისას. სხვა-და-სხვა ისტორიულ მიზეზების გამო იმ დროს რომს თავის სურვილი ვერ აღუსრულებია, თუმცა თავის განძრახვისათვის, როგორც იგივე ისტორია გვიჩვენებს, თავი არ დაუნებებია. ამას გვიმტკიცებს მეჩვიდმეტე საუკუნე. ამ საუკუნეში ვხედამთ კარგს განწყობილობას რომის და საქართველოს ტახტთა შორის. მაშინ კათოლიკის მისიონერები სხვა-და-სხვა საქართველოს კუთხეებში თავისუფლად ქადაგობენ და ავრცელებენ კათოლიკობას. დევნულობის ნიშანი არსად არ არის. არა თუ დევნულობა,—მეფე, დიდებულნი, სამღვდელოება და გლეხნი უახლოვდებიან მათ. საქართველოს დამოუკიდებლობის დროს უკადრისი სიტყვაც მათთვის არავის უკადრებია.

კათოლიკობის პროპაგანდა მოსპო საქართველოში საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. პატრები განდევნილნი იქმნენ. განდევნილები მოიკრიფნენ ტრაპიზონში, სადაც დაარსეს მონასტერი და სკოლები ქართველებისათვის. ეს მონასტერი და სკოლები დღესაც არსებობენ.

ყოველივე ეს ისტორიული ფაქტები და უბრალო მოსაზრებაც ამტკიცებს ჩვენში მცხოვრებ კათოლიკების გვაროვნობას. მაშ ვინ უნდა ვიყოთ?

---

— მე ვამაყობ! დაიწყო ერთმა:— მარტო ბათუმს შეუძლიან თქვენისთანა ჩინოვნიკებით თავის მოწონება!

— მაგაში-კი შემცდარი ხართ,— გააწყვეტინა ერთმა წარბებ-შეჭმუხვნილმა ბურბომამა:— რუსეთს დიდი სამზღვარი აქვს, მის სამფლობელოში ბევრი ივან ივანიჩები ამოჩნდებიან...

კუნჭულში-კი ორი კაცი იჯდა და ერთი მეორეს წასჩურჩულებდა:

— რა ეშმაკია, ივან ივანიჩი! საქმეც გაირიგა და ძალის-მქონებლების გულიც მოიგო.

— როგორ?

— ძალა უფრო მეტად დააფასებენ მაგის მამულს და არ დასჩაგრამენ.

— იქნება აგრეც იყოს! იქნება ივან ივანიჩების მოწყალებით მარჯან-აღებსაც ეშველოს?!

X

— ხოლერა, ხოლერა! იძახის ერთი შეშინებული სახე.

— რა, განა ბათუმშიაც მოვიდა? კითხულობს მეორე პირველზედ შეშინებული, თითქოს ხოლერას თითონ აედგას ფეხი და დადიოდეს.

— არა, მაგრამ მოვა! გადაწყვეტით ამბობს პირველი და უმატებს:—რაკი სპირნაშიაც გაჩნდა, ჩვენ რაღა გადაგვარჩენს?

— სმირნაში-კი არა, აქაც რამდენიმე მაგალითი იყო,—ჩაერევა მესამე.

— რაო, რას ამბობ, როგორ, როდის? მოეხვევა ხალხი და გულის ცახცახით პასუხს მოელიან.

— იმ დღეს ორი მუშა მოკვდა, ამას წინ სამი სალდათი გადაიცვალა, გუშინ კიდევ დედა-კაცი მოკვდა.

— ხოლერა, ხოლერა! ბუტბუტებს შეშინებული ხალხი და ჩუმად ლოცვებს ამბობს, პირჯვარს იწერს.

— რაღა გვეშველება, რა ვქნათ!

— ნუ გჯერათ, ტყუილია!.. ჩაერევა ვიღაცა ახალ-გაზდა.—ბათუმში არც ხოლერაა და არც სხვა ავადმყოფობა.

— არა? იკითხამს რამდენიმე ხმა და იმედი ღიმილს გამოუხატავს პირისახეზედ.

— მაშ აი ეს რომ ამბობს? ცოტა სიჩუმისა და ჩოჩქოლის შემდეგ უჩვენებენ ხოლერის ხმის გამავრცელებელზედ.

— ეგ სისულელეს ამბობს,—უპასუხებს ქმაწვილი-კაცი და მიუბრუნდება ხმის გამავრცელებელს:—ნეტა ვიცოდე თქვენს სიცოცხლეში ოდესმე შეცდომით მაინც გითქვამსთ სიმართლე?

— მე რა?.. რაც გავიგონე, იმას ვამბობ,—გაწითლდება მოსაუბრე.

— რაღა პირველად ყველა თქვენამდის მოაღწევს ხოლმე და ისიც უეჭველად გადასხვაფერებული?

ხმის გამავრცელებელს სისხლი აწვება ყელში და არ იცის მის შემრცხვენს ყმაწვილ-კაცს რითი გადაუხადოს. ბაიყვანს ხან ერთს, ხან მეორეს და ჰკითხავს: «დუელში გამოიწვიო, ნამუსის წინააღმდეგი ხომ არ იქნება?»

ბოლოს იმითი ათავებს, რომ არჩევს, იქ მყოფებს წყნარად და ჩუმად მოშორდეს.

X

ბულვარის ერთს ადგილს შეყრილა რამდენიმე ჩინოვნიკი. ყველა მოხუცებულია, ყველას პირისსახე დაღმეჭია და ბათუმისგან ყნაცალ ქონებს ლაზათიანად გაუსივებია. ძლივს-ღა ქშენენ, ძლივს-ღა იბრუნებენ სულს; სიცხე აწუხებთ. პირისსახეზედ რაღაცა შიში ეტყობათ. ესენიც ხოლერას მოელიან. საერთო უბედურებას ერთად მოსალაპარაკებლად შეუყრია.

— ნუ სწუხართ, ღმერთმა გაგვაჩინა, ისევ ისე დაგვიფარავს.

— ღმერთი, იმისმა მადლმა! პირჯვრის გადაწერით შეხედვენ ზეცას.

— რავიცი ღმერთი ჩვენზე ისე ხელს როგორ აიღებს? ცოტა სიკეთე მიგვიძღვის?

— არც ერთს კვირას ეკლესიას არ ვაკლდები,—ოხვრით ამბობს ერთი.

— ეგ რა არის?.. მე შაბათ-კვირა პარაკლისს ვახდევინებ და ათ შაურიანს კელაპტარს ვანთებ საყდარში.

— მე დილიდან საღამომდის სულ მუხლ-მოდრეკილი ვლოცულობ, სხვას აღარას ვაკეთებ.

— მერე, რა ავად-მყოფობაა ეგ შეჩვენებული ხოლერა-და?.. ავადმყოფობასაც რომ არა ჰგავს. დგეხარ კარგად მყოფი, საღსალამათი კაცი, ერთბაშად წაიქცევი და... «კაფუთ!»

— მოკვდება, მაშინათვე მოკვდება? იკითხავს ერთი ყველაზედ შეშინებული.

ფრანგებით, ამბობენ. ფრანგი ანუ ფრანკი ევროპაში ნიშნავს საფრანგეთის მცხოვრებს ფრანცუზს. აზიაში-კი (აღმოსავლეთში) ფრანგებს უწოდებენ ყოველსავე ევროპიელს. ჯვაროსნობის ლაშქრობის დროს მეთორმეტე და მეცამეტე საუკუნოებში, როცა ევროპის ხალხი დაუახლოვდა აღმოსავლეთს, პირველი ადგილი ამ ხალხში ეჭირათ ფრანგებს (ფრანცუზებს). აქედამ მთელმა ევროპის ხალხმა აღმოსავლეთში მიიღო სახელი ფრანგი. დღესაც მცირე აზიაში და სხვა აზიის ადგილებში ევროპიელებს ფრანგებათ უწოდებენ.

ქართველებმა მიიღეს-რა კათოლიკეს სარწმუნოება ფრანგებისაგან (ევროპიელებისაგან), იმათაც ეწოდათ ფრანგები, რადგანაც კათოლიკობის მიღება ასე თუ ისე აერთებდა მათ ევროპიელებთან.

ჩვენ რომ ევროპიელები (ფრანგები) არა ვართ და მხოლოდ მათი სარწმუნოება გვაქვს, ეს ყველასთვის ცხადია.

ამ საგანზე იმისათვის გავაგრძელე საუბარი, რომ ამ უკანასკნელ დროს გავრცელდა ხმა, ვითომც კათოლიკე სამრევლოებში მოძღვრებათ ჰსურთ დანიშნონ პოლიაკები და სომხები. ამის ნიშნებსაც ვხედამთ. თუ ჩვენ არ მოგვეცემა ჩვენს დედა-ენაზე წირვა, მოძღვრები მაინც ქართველები უნდა გვყავდენ, როგორც დღემდე ყოფილან. გვიქადაგონ სახარება და სამოციქულო გვიკითხონ იმ ენაზე, რომელიც დაბადებიდამ ჩვენთან შეზრდილა. ან პოლიაკს, ან ვინმე სომეხს, როგორ დაეწვის ჩვენთვის ისე გული, როგორც ქართველს, ჩვენს მოძმეს და ჩვენთან სიყრმიდგანვე შეზრდილს. ამ საქმეზე დაფიქრება გვეპირება. ერთად მოქმედება და მეცადინობაა საჭირო, რომ ის ერთი-ორი ქართველი პატრები, რომელნიც დღესა გვყავს, არ წაგვართვან და არ ჩაგვაგდონ უცხო-ტომთა ხელში.

ქართველი კათოლიკე.

ქ. ქუთაისი.

# რუსეთი

— ხმებია, რომ უნდა დაწესდეს სახელმწიფო ეგზამენები უნივერსიტეტში კურს-შესრულებულებისათვის სახელმწიფო სამსახურში შესვლის უფლების მისაღებლად. ეს ეგზამენები მოხდება ამისთვის ცალკე შედგენილ გამოსაცდელ კომისიებში, რომლებშიაც პროფესორების გარდა იქმნებიან გარეშე პირებიც. იმ პროვინციალურ ქალაქებში, სადაც უნივერსიტეტები არის, შესაძლებელია, სამჯავრო პალატების და ოლქის სასამართლოების წევრნი, სამოქალაქო და სამხედრო სამკურნალოების უფროსი ექიმები და შუა სასწავლებლების დირექტორებიც მოიწვიონ ხოლმე ამ კომისიებში. თვითეულს გამოსაცდელს კომისიაში უნდა იყოს ხუთი წევრი თავმჯდომარითურთ, მედიცინის ფაკულტეტზედ კი შვიდი წევრი. საბოლოო ეგზამენები წელიწადში ორჯერ მოხდება და ამ დროს ლექციების კითხვაც არ შეჩერდება.

— ამბობენ, რომ რუსის უნივერსიტეტებში აღსრულებაში უნდა მოიყვანონ ის ბრძანება, რომლის ძალითაც სტუდენტებმა ფულით უნდა იარონ ლექციებზე. ვარშავის უნივერსიტეტში 1 სექტემბრიდამ და დანარჩენ უნივერსიტეტებში 1 იანვრიდამ უნდა დაიწყოს ეს წესიო.

— რუსულ გაზეთებში სწერენ, რომ მათ შეუტყვიათ ნამდვილის წყაროებიდგან, რომ ერთს რუსის წარჩინებულს იურისტთაგანს შეუდგენია ამ დღეებში მოხსენება, რომელიც უნდა წარუდგინოს იუსტიციის მინისტრს ნაბოკოვს ამ თვეში. ეს მოხსენება იმის თაობაზეა დაწერილი, რომ კანონების აზრი და სასამართლოების პრაქტიკა, რამდენიც დროება მიდის, იმდენი უფრო და უფრო ერთმანეთს არ ეთანხმებიან. ღმერთმა ჰქნას გამართლდეს ეს ხმა,—ეგება ცოტა რამ შეაგონოს ჩვენებურ იურისტებს, რომელთაც შეცდომა შეცდომაზე მოსდით ამისთანა საქმეებში.

— ურიებს პეტერბურღშიაც გაუმართავთ ხელის-მოწერა იმ ურიების სასარგებლოდ, რომელნიც ეკატერინოსლავლში მოხდენილ უწესოებისა გამო დაზიანდენ. იმ ურიებს, რომელნიც დაახლოებულნი არიან პეტერბურღის დიდს კაცებთან, უნდოდათ, რომ ეს ხელის-მოწერა ოფიციალურად მოეხერხებინათ, მაგრამ ამის ნება არ დართეს. თუმცა არ მოხდა ოფიციალურად, მაგრამ—როგორც იწერებიან—ძალიან ბევრი შეგროვებულა. შემწირველთა შორის იხსენიებენ იმისთანა ფულის პატრონებსაც, როგორნიც არიან ჰინცბურგი, შტიგლიცა და სხვანი.

— სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აღუძრავს კითხვა იმაზედ, რომ ამ სამინისტრომ მოიპოვოს საშუალება სასოფლო სამეურნეო საზოგადოებათა დასახმარებლად, რასაც ეს საზოგადოებანი ითხოვენ.

— გზათა მინისტრს მოუხდენია განკარგულება, რომ ტამოჟნის ჩინოვნიკები უფასოდ ატარონ რკინის გზებზე, როდესაც ესენი სამსახურის საქმეებისთვის მიდიან სადმე.

— გაზ. «Сибирь» [illegible], რომ სასურველი [illegible] სისხლის სამართლის კანონების გადახედვის დროს, მიექციათ ყურადღება იმ წესდებულებისთვისა, რომელიც ციმბირში გაგზავნილებს შეეხება, და განსაკუთრებით იმ უფლებისთვისა, რომლის ძალითაც პოლიციელებს შეუძლიანთ ცემით დასაჯონ იქ გაგზავნილი დედა-კაცებიც კიო. თუ შესაძლებლად იცნეს—ამბობს გაზეთი—დასჯის შესუმბუქება საზოგადოდ, რატომ გაგზავნილებისთვის კი არ უნდა იქმნეს იგი შესუმბუქებულიო. განა, მართლა, ყველა იმისთანა ბოროტ-მოქმედია, რომ მათი ხასიათის გასწორება არ შეიძლებოდეს? მათში ბევრია, რომელნიც არამც თუ გასწორდენ, არამედ სრულიად კარგის ზნისაც გახდნენ და გონებითაც გაიხსნენ. ციმბირში გაგზავნილი დედა-კაცები დიდი უბედურნი არსებანი არიან, იმათი ბედი ფრიად მწარეა: ეს ასე რად უნდა იყოს, მაშინ როდესაც ადგილობრივი სისხლის სამართლის სტატისტიკა არ გვიჩვენებს ამ დედა-კაცებში არც ერთს დამნაშავეს».

— ამას წინათ ჩვენს გაზეთში იყო მოყვანილი ამბავი, რომ ამ წლის სექტემბრიდგან სასულიერო აკადემიებში იმდენს სემინარიელებს აღარ მიიღებენ, რამდენსაც წინად იღებდენო. ეხლა შევიტყვეთ, რომ უმაღლესს სასულიერო მთავრობას განზრახვა აქვს, იშუამდგომლოს, რომ სემინარიელებისთვის გაუქმდეს მოწიფულობის ატესტატი (аттестатъ зрѣлости), რომელიც ძალიან აბრკოლებს სემინარიელების საერო უმაღლესს სასწავლებლებში შესვლას.

---

— კიდევ ეგ არის, რომ არა!.. მაშინათვე რომ მომკვდარიყო, რაღა უნდოდა?

— მაშ კიდევ რა მოუვა? იკითხავს ისევ შეშინებული და პირისსახე დაელრიჯება ისე რიგად, თითქოს მუცელმა გვრემა დაუწყო.

— მიეხვევიან ეშმაკები, ზოგი თმასა სწევს, ზოგი კალთას, ზოგი ხელს... აგონებენ ცოდვებს... ეწევიან სულს და აწვალებენ თურმე... მერე მოვლენ თვით ტარტაროზები, მოიტანენ კუპრით სავსეს ცეცხლ წაკიდებულს ქვაბს და ხოლერით ავად-მყოფს შიგ შუა გეენიაში ჩააგდებენ.

— უჰ! ძლივს ამოიქცია სული ყურის მგდებელმა და ბოლოს დაუმატა:—როგორ დაიწყება ხოლერა?

— ჯერ მუცელი დაუწყებს გვრემას, მერე ყურები წივილს, ისე გახურდება თითქოს ცეცხლი წაუკიდესო, და მერე გაშავდება... დააწყებინებს პირიდან და ტანიდგან საქმობას.

— როგორღაც გული მერევა,—ერთბაშად წამოიძახებს შეშინებული და ამაჟრიალებს.

— მართლა, გაყვითლდით.—მიეშველებიან.

— მუცელსაცა მგვრემს, წაივლებს მუცელზედ ხელს და დაბარბაცდება.

— ხოლერა! დაიძახებს ვიღაცა და ყველანი გაიფანტებიან.

საცოდავი ეჭვით ავად-მყოფი დარჩება მარტო, ცახცახებს და თვალებს ატრიალებს; ეძებს ვისმე მშველელს, მაგრამ ყველა ეცლება.

— ყველა მეცლება, ყველა მშორდება! ზაუელავს თავში და მოაგონდება, რამდენი ქაღალდი მოუვიდა, რომ ხოლერის ასაცილებელს კომისიას შემწეობა აღმოუჩინოს, მაგრამ ის ყურადღებას არ აქცევდა, იძახდა —ღმერთი დაგვიფარავსო!

— ეხლა უპატრონოდ უნდა მოვკვდე!.. აჰა ჩემზედ!

დაესხა თავბრუ, წაბარბაცდა და გულ-შემოყრილი დაეცა. როდესაც თვალები გაახილა, ნახა რომ თავის სახლშია და არც მომკვდარა, სიხარულით წამოვარდა, დაიწყო ხტუნაობა და ხარხარი.

ამ დროს ბიჭი შემოვიდა და ქაღალდი მოართვა. შიგ ეწერა, რომ «ესა და ეს ექიმი ითხოვს შემწეობა აღმოუჩინოს ბათუმის გასასუფთავებლად, თორემ ამ უწმინდურებაში ხოლერა აქ საუკეთესო დასაბუდებელს ადგილს იპოვის».

მორჩენილმა გადასტყოსცნა ქაღალდები და დაიძახა:

— ეშმაკმა წაგიღოსთ თქვენცა და თქვენი ქაღალდებიც! მერე მიუბრუნდა ბიჭს:—გასწი ეხლავ მღვდელთან და სთხოვე პარაკლისი გადამიხადოს. ბიჭი გავიდა და ბატონი ისევ ხტუნაობას მოჰყვა.

X

ექიმმა ბ—ემ ადრიანად გაიღვიძა და გაზეთები აიღო.

— ოჰო! წამოიძახა იმან და წამოვარდა ზეზედ.

— რა ამბავია? შესდგა კარებში ჭმაწვილი კაცი, რომელიც იმასთან მისულიყო.

— რაღა რა ამბავია, ხოლერა სმირნაშიაც გაჩენილა და ჩვენ-კი აქამდისინ ქალაქის გასუფთავებისთვის ხელი არც-კი მიგვიყვია!..

— რაღას ელით, შენც კომისიაში არა ხარ?

— რაღას ველი?.. ისე ლაპარაკობ, თითქოს არ იცოდე აქაური წყობილება... მარტოკა არა შემიძლიანრა და არავითარს საშუალებას-კი არ მაძლევენ... ვწერ, ვწერ ქაღალდებს და ჩემი ხმა რჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა... აი ნახავ, ხოლერა ისე მოგვასწრობს, რომ არაფრით მზად არ ვიქნებით.

— რას გეუბნებიან?

— რას მეუბნებიან?... იმას რომ სამჯერ ყოფილა ხოლერაო, ბათუმის გარეშემო ხალხი უქლეტია და შიგ ბათუმში კი არ შემოსულაო!... მე რად გინდა: პოლიციის ჩინოვნიკი ვერ ჩამიგდია ხელში, რომ ჩემი ნაწილი მოვიარო და ის ადგილები-კი უწმინდურებით სავსეა და ფუთობით დამპალს ხილსა ჰყიდიან.

— მაშ ძალიან კომისია ყოფილა, რომელიც მარტო ქაღალდით მუშაობს!

— რა ვქნათ, ეგ არის ჩვენი ბედი!..

მართლაც, რომ რა ვქნათ! ეგ არის ჩვენი ბედი!

(შემდეგი იქნება).

# უცხოეთი

— გაზ. «Эхо»-ს სიტყვით, პარიჟში ამტკიცებენ, რომ საფრანგეთსა და ჩინეთს შუა მოლაპარაკება კარგად მიდის და იმედი აქვსთ, რომ საქმე მშვიდობიანად გათავდეს. ჩინეთის მმართველობამ სთხოვა საფრანგეთისას ერთმანეთთან ხელ-წერილით შეეკრა იმაზე—თუ მომავალში რა დამოკიდებულება იქონიონ ამ ორმა სახელმწიფომ ტონკინსა და ანამთან. ეს წინადადება კარგად მიიღეს პარიჟში და საფრანგეთის მმართებლობამ მისწერა ტელეგრამა პეკინში, რომლითაც აცნობა, რომ იგი თანახმაა მორიგებაზე იმ პირობებით, რა პირობებსაც ჩინეთი უდებს.

— ამავე გაზეთშია ცნობა, რომ ვენაში ხმებია გავრცელებული ვითომც თავადი ბისმარკი, კისინგენში წამლობას რომ მორჩება, წავა გასტეინში, სადაც ავსტრი-ვენგრიის გარეგან საქმეთა მინისტრი კალნოკიც მივა.

— ხორვატელმა პატრიოტმა დეპუტატმა მისკატოვიჩმა ამას წინად დაბეჭდა ზაგრების გაზეთში წერილები, რომლებშიაც იგი ამბობს, რომ ხორვატელებს უნდით შეერთდენ და ერთი სამეფო დაარსონო, და იმასაც უმატებს, რომ ეს შეერთება სრულიადაც არ იქმნება ვენგრიის წინააღმდეგიო; უფრო სასარგებლოც იქნება მთელის სახელმწიფოსთვის, რადგანაც ამით უფრო გამაგრდება სამხრეთის-კენაო. მისკატოვიჩის წერილებმა, დიდი ალიაქოთი შეუყენეს ვენგრიელებს და ამ დღეებში პეშტის ლოიდმა მათ წინააღმდეგ დაბეჭდა წერილი, რომელშიაც მწარე სიტყვებით და თითქმის ლანძღვით ჰკიცხავს ხორვატელებს და ამბობს, რომ ხორვატელები, რომელთათვისცა ამოდენი სიკეთე უქნია ვენგრიასა,—ახლა ვენგრიის დაუძინარ მტრებათ გამოცხადდენ და, გრაფის ტააფეს პოლიტიკით წაქეზებულნი, მეტის-მეტად ბევრსა თხოულობენო. ზოგიერთა სხვა გაზეთები კი იმას ამბობენ, რომ ხორვატელებს დიდი ხანია ერთ სამეფოდ შეერთება სურდათ და აქ გრაფის ტააფეს პოლიტიკა სრულიად არაფერს შუაშიაო! მართლაც და ხორვატელები 1873 წელსაც იბრძოდენ, მაგრამ ვენგრიის წინააღმდეგ კი არა, ნემეცების წინააღმდეგაო. განა ეხლა განიძრახეს დალმაციის ხორვატიასთან შეერთებაო? ჯერ კიდევ ძველადვე დალმატინის სეიმის უმრავლესობამ განაცხადა სურვილი ორივე ამ მხარეების ერთად შეერთებისა. 1867 წელსა თვით დეაკი და ანდრაშიც კი ამბობდენ ამას და, აბა, ტააფე აქ რა შუაშიო?

— ერთს ინგლისურს გაზეთში იწერებიან ალექსანდრიიდამ, რომ თუ ინგლისი თვით არ იკისრებს პასუხის გებას, რომელშიაც არის იგი მას შემდეგ, რაც იმან მიიღო თავის მხედველობის ქვეშ ადმინისტრაციის ყველა ნაწილები, იმას მოუხდება ბრძოლა ნაციონალურ გრძნობასთან, რომელიც, თუმცა იარაღით ადვილი დასათრგუნია, მაგრამ არაბი-ფაშისაგან აღძრულს გრძნობაზე უფრო საშიშია. ეს ის გრძნობაა, რომელიც ბევრს ავნებს ეგვიპტეში ლიბერალურის მმართებლობის დაყენებას და ფელახების მდგომარეობის გაუმჯობესობის სურვილსაო; ამის გარდა დააკარგვინებს ჩვენის ადმინისტრატიული ნიჭის ნდობასაო.

# განცხადებანი

ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვის
კერძო რეალურ სასწავლებელში
(თბილისი, ბარონის ქუჩა, სახლი № 10)

დამატებითი და მისაღები ეგზამენები დაიწყობა 23 აგვისტოს, სწავლა კი 1 სეკტემბერს. სასწავლებელში ოთხი ნორმალური კლასია, აგრეთვე მოსამზადებელი კლასი და კლასიკური განყოფილება. მოწაფენი მიიღებიან პანსიონერებათ, ნახევარ პანსიონერებათ და თავისუფალ მოსიარულებათ. (10—1)

ისყიდება მებელი: სასტუმრო ოთახისათვის, კაბინეტისათვის, პურის საჭმელისა და საწოლის ოთახისათვის; აგრეთვე ჭურჭელი და სამზარეულოს ავეჯეულობა; ყვავილები, აკვარიუმი და ოთახის შადრევანი. მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 52. (3—2)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, ქლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდის საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ ისდის. (100—16)

სტამბა
ევთიმე ივ. ხელაძისა.
თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევს საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრეკტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.
Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе.

ინგლისის მაღაზიაში

თმის-ამომყვანი
ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—20)



მაკ-მასტერი
აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტყავის მოსასუფთავებლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

საგლობუსო


კალმები

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვე აურაცხელი სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ყოველის ,,ხელისათვის''—25% იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, საღეჭი, ცარაშკები ჭურჭლების საწმედად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხისათვის კლიონკები. ტახტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ზინოკლები რულეტკები, კატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მაწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომოჩი, ქამრები, სარტყელები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შჩოტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საქმის ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.
პატარა—20 კ. (100—61)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 აგვისტოდამ 16 აგვისტომდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — —1 გირ. 5 კ.
აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— —1 გ. 3 კ.
მეორისა — — —1 გ. 2½
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:
პირველის ხარისხის—1 გ. 5 კ.
მეორისა — —1 გ. 3½
მესამისა — —1 გ. 3 კ.
ჯვარის-მამის პური:
პირველის ხარის. ლავაში 1 გ. 5 კ.
მეორის ხარის. ლავაში 1 გ. 3½
მესამისა — —1 გ. 3 კ.
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისხის—1 გ. 8 კ.
მეორის — —1 გ. 7 კ.
სუკი . . —1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი —1 გ. 7 კ.

რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
რიონიდგან თბილისისკენ
1 საათზედ და 37 წამ. ნაშუადღევს.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

Дозв. цензурою Тифлисъ, 4 Августа 1883 г. ექ. ხელაძის სტამბა. (Типографія Е. Хеладзе.) გამომცემელი ვ. მერთველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.